ცნობის ფურცელი

№ 2507 პარასკევი, 28 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2507

გაზეთი ღირს: წელიწად'ში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში [illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

დღევანდელი „ცნობის ფურცლის“ №-რი „მანჯურია-იაპონიის“ რუქით ღირს 5 კაპ.

ეკატირინე სტეფანეს ასული კაკალაშვილი დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის დისწულის

პეტრე იოსების ძის უმიკაშვილისას

მიცვალებულს გაასვენებენ სადგომიდან (თეატრის მოსახვევი, № 6) დღეს, პარასკევს, 28 მაისს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში და იქიდან წირვის შემდეგ წაასვენებენ დასაკრძალავად კათოლიკეთა კუკიის სასაფლაოზე. (რ. 3—3)

ქართული თეატრი. შაბათს, 29 მაისს.

◆ არტისტის **ვასო აბაშიძის** სასარგებლოდ ◆

ქართულ თეატრის არტისტების მიერ

წარმოდგენილი იქნება: I. **ცხოვრების გარეშე** კომ. 4 მოქ. თხზ. პროტოპოპოვისა.

II. ახალი პიესა **დარისპანის გასაჭირი** სცენები 1 მოქ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნებიერიძე, ჯავახიშვილი, დავითიშვილი, რონელი; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, კ. მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, მოსკოველი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8½ საათზე. (5—უ.—4)

ამ წლის 30 მაისს „ბანკის ბაღში“ (თავად-აზნაურთა ქარვასლა)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო გაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, გაიმართება საბავშო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცეკვა.

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). თუ წვიმა იქნა, სეირნობა გაიმართება 5 ივნისს. (უ. 0—7)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

„ლალატი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხის-მიერ.

ვინც 50 კაპ. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (10—9)

კვირას, 30 მაისს, მეორედ არის დანიშნული

საზოგადო კრება

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე **ფარმაცევტთა ამხანაგობისა,**

რომელიც კანონიერად ჩაითვლება რავდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. განხილვის საგნები იხილე „კავკაზი“ № 121. (3—1)

ქ. სიღნაღში,

გაზეთ **„ცნობის ფურცლის“** ნომრები ყოველ დღე იყიდება **სერგო მიხეილის ძე ამირაღოვის მაღაზიაში.**

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში **იყიდება ნაწილ-ნაწილად** **მიწა** კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულასპოვთან და ოლგინის ქუჩაზე №18 რ. დ. ფორაქოვთან. (10—10)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

პანსიონი

(ნემეცის ქუჩა, სლივიცკის სახლებში, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ)

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა

1-ლ ივნისიდან გადადის საგარაკოთ. მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—12)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—87)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—14)

რედაქციისაგან

ვაცნობებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც ჟურნალ.-გაზეთის დასაკვეთად შემოტანილი აქვს მარტო „ცნობის ფურცლისთვის“ 3 მან. და 5 ან 6 მან. „მოამბე“-„ცნობის ფურცლისთვის“, დასამატი ფული უნდა გამოგზავნოს მაისის გასვლამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემანი 1-ლ ივნისიდან აღარ გაეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 25 მაისს: „უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ კონტრ-ადმირალის ვიტგეფტის მოხსენების თანახმად, ცინჯოუს პოზიციებთან მომხდარ ბრძოლის დროს რუსის ჯარის მემარცხენე ფრთეს ძალიან შველოდნენ საკანონირო ნავები „ბობრ“-ი და ნაღმიანი გემები „ბურნი“ და „ბოიკი“. ეს გემები შემდეგ პორტ-არტურს დაბრუნდნენ. იაპონიის იმ ნავების წინააღმდეგ, რომელნიც ცინჩოუს ბუხტაში მოქმედებდნენ, 13 მაისს, ღამე, გაგზავნილ იქმნა ათი ნაღმიანი გემი, რომელთაგან ერთი ქვებს დაეჯახა და ჩაიძირა. მეზღვაურნი გადაარჩინეს. ცინჩოუში მყოფ მეზღვაურთაგან უკვალოდ დაიკარგა მიჩმანი ნიკოლოოზ შიმანსკი, რომელიც საზღვაო ზარბაზნებთან იყო“.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ცინჩოუდან დეპეშით იუწყებიან, რომ ზარბაზნების სროლა პორტ-არტურში დაიწყო 11 საათსა და 30 წუთზე და გავძელდა რამდენსამე საათს, იმ დრომდე, ვიდრე დალნიდან მოხსენება მოვიდა. გუშინ მთელ დღეს პორტ-არტურის მიდამოებიდან ისმოდა ცხარე სროლის ხმა.

უარსე ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ ტალიენვანთან იაპონიის გემი დაღუპულიყოს.

კიევი. შეუდგნენ ქალაქის მიერ გადადებულ ფულით საავადმყოფოს მოწყობას 200 კაცისათვის. ჰფიქრობენ, რომ იგი 1 ივნისს გაემართება შორეულ აღმოსავლეთში.

მუკდენი. მიღებულ ცნობებით, იაპონიის ესკადრა, 9 გემისაგან შემდგარი, 25 მაისს ზარბაზნებს უშენდა ნაპირს სინიუჩენსა და გაიჯოუს შუა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 24 მაისს, შუაღამეს, იაპონელთა ოთხმა საკანონირო გემმა დაზვერა პორტ-არტური ნავთ-სადგურის შესავლის გამოსაკვლევად. რუსებმა მძლავრად დაუშინეს იმათ ზარბაზნები. საკანონირო გემს მე-4 №-ს მოხვდა 8 ყუმბარა. გემი ცოტაოდნად დაზიანდა. მოკლულია 1 მეზღვაური და დაჭრილია—2.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). მოვიდა დალნიდან ნავების ფლოტილია იაპონელთათვის სურსათის საყიდლად. მოსულები ამბობენ, დალნისა და პორტ-არტურის შუა რამდენისამე დღის განმავლობაში განუწყვეტელი სროლა იყოო. ჩინელებს აუკრძალეს პორტ-არტურიდან გამოსვლა.

27 მაისი

ლიაოიანი. 26 მაისს ლიაოიანის დაფანგუანმა ჩინელებისაგან ცნობა მიიღო, რომ სამი დღის წინად იაპონელებმა რამდენჯერმე მხნე იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე როგორც ხმელეთსა, ისე ზღვიდანაო. რუსებმა უკუ აგდეს იაპონელები დიდის ზარალით. იაპონიის მესამე არმიის განადგურების შემდეგ იაპონელები კვანტუნში, ჩინელების სიტყვით, გაჭირვებაში ჩავარდებიან. როგორც ჩინელები ამბობენ, ჩვენი ესკადრები შეერთდნენ პორტ-არტურში და მოხდა ბრძოლა, რომლის დროსაც იაპონიის ოთხი დიდი გემი დაიღუპა.

სმოლენსკი. საგუბერნიო ერობის საგანგებო კრებამ დაადგინა, გადასდოს 100 ათასი მანეთი ავადმყოფ მოსამსახურეთა და დაჭრილთა შესანახად იმ საავადმყოფოში, რომელსაც წითელის ჯვრის ადგილობრივი გამგეობა ჰგზავნის.

ტოკიო („რეიტ სააგ.“). იაპონიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ სიმართლეს მოკლებულია ხმები ჯავშნიან გემის „შიკიშიმ“-ას დაღუპვის შესახებაო.—6000 რუსი იმყოფება აიანისა და საიმაძის ოლქებში. ეს რაზმი სცდილობს, ხელთ ჩაიგდოს იაპონელთა სურსათის ურმები. რუსებს მსუმბუქი ზარბაზნები აქვთ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. იაპონიაში ნამყოფს ფრანგ დიპლომატს უთქვამს ერთის ჟურნალისტისათვის: ომის დაწყების წინ იაპონიის იმპერატორმა სამხედრო თათბირი მოახდინა და ომისათვის დაწვრილებითი პლანი შეადგინა. ზოგიერთმა გენერალმა ურჩია კრებას, კორეია დავიჭიროთ, იქ გავმაგრდეთ და დაე რუსის ჯარმა თითონ მოიტანოს ჩვენზე იერიშიო. მაგრამ იმპერატორმა გენერალ კუროკისა და ოკუს რჩევით მანჯურიაში გალაშქრება და რუსებზე იერიშით მისვლა ამჯობინა: ესეთი სამხედრო პლანი უფრო შეეფერება ჩვენის ხალხის გაბედულ, ფიცხ ხასიათსაო. („რ. ლ.“).

„ვოსტოჩნოე ობოზრენიე“-ს კორესპონდენტი იწერება ლიაოიანიდან: მას აქეთ, რაც იაპონელები იალუზე გადმოვიდნენ და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე ჯარი გადმოიყვანეს, ლიაოიანში ყველამ იგრძნო, რომ მალე დიდი ამბები მოხდება. არავინ არ ელოდა, რომ იაპონელები ასეთ მედგარ, გაბედულ იერიშს მოიტანდნენ რუსის ჯარზე და ასე ფიცხად მოიქცეოდნენ. რასაკვირველია, წინადვე ყველამ იცოდა, რომ იაპონელები ლიაოდუნზე ჯარს გადმოიყვანდნენ; ამიტომ პორტ-არტურში ბევრი სამხედრო და საკვები სურსათი ჩაიტანეს, მაგრამ მაინც ყველა ჰფიქრობდა, რომ დიდი ბრძოლა ხმელეთზე მხოლოდ დიდის წვიმების შემდეგ, შემოდგომაზე დაიწყებოდა, ეხლა-კი ვხედავთ, რომ იქნება შემოდგომამდე ყველაფერი გათავდეს...

ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: ლიაოიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარესა და მუკდენის ჩრდილოეთით დიდ-ძალი ხუნხუზი მოქმედებსო. („რ.“).

იალუზე ბრძოლის შემდეგ იაპონიის მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწეს გენ. კოდამას გერმანელ გენერალ მეკელისათვის მადლობა მიუწერია დეპეშით: ჩვენმა ჯარმა იალუზე სახელოვნად გაიმარჯვა და თქვენი მოწაფეები გულ-წრფელ მადლობას გითვლიანო. გენ. მეკელი დიდ-ხანს იყო იაპონიის ჯარის ინსტრუკტორად, მერე გერმანიაში დაბრუნდა და ბერლინს ახლო ლიხტერფელდში ცხოვრობს. („რ. ს.“).

„დეილი მეილ“-ის სამხედრო კორესპონდენტი ცნობილი მეკენზი გულმხურვალედ აქებს იაპონელ ჯარის-კაცებს. მეკენზი სწერს: „სეულიდან ჩრდილოეთისაკენ გალაშქრების დროს იაპონიის პირველმა არმიამ საკვირველი ამტანლობა, მამაცობა გამოიჩინა და მეტად წესიერად იქცეოდა. იაპონიის ჯარი კარგ ამინდშიაც ვნახე, ცუდშიაც, გზაშიაც და შესვენების დროსაც. მე-12 დივიზია სეულიდან საჩქაროთ პინიანისაკენ გაემართა; ეგონათ, რომ იქ რუსები დაჰხვდებოდნენ. ქვეითა ჯარი დღეში 25 ინგლისურ მილს გადიოდა. მთელი 8 დღე იარეს ასე სწრაფად, ისიც ზამთარში, საძაგელ გზებზე,—ზედაც ზამთრის მძიმე ტანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსი ეცვათ. საშინელი სიცივე იდგა, ჯარის კაცებს კარვები-კი სულ არა ჰქონიათ. თოვლზე ჩამოჯდებოდნენ ხოლმე დ ისე სჭამდნენ თავიანთ კერძს, ხშირად მარტო ცალიერ ბრინჯს. ახალგაზრდა ჯარის კაცები საკვირვლად იტანდნენ ყველაფერს; გზაში მეტად ცოტა ხალხი რჩებოდა უკან. ჯარს კორესპონდენტებიც მისდევდნენ და ჩემ ამხანაგებში ბევრმა ვერ შესძლო სიარული, თუმცა ჩვენ ჯარის კაცებზე უკეთესი საჭმელიც გვეძლეოდა და უკეთეს ყოფაში ვიყავით. ერთი ჩემი ამხანაგი ფილტვების ანთებით გახდა ავად. ჯარის კაცებში-კი მეტად ცოტანი გახდნენ ავად. მე დავრწმუნდი, რომ იაპონელ ჯარის-კაცისთანა მამაცი და ამტანი მთელ ქვეყნიერობაზე სხვა არავინაა". („პ. ვ.").

უცხოეთის პრესის აზრი პორტ-არტურზე. გერმანელი სამხედრო მწერალი „პრუსიელი ოფიცერი" სწერს „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ში: რუსები, უეჭველად, მედგრად დაიცავენ პორტ-არტურს. მალე დიდი სისხლის ღვრა და მეტად გმირული ბრძოლა მოხდება. იაპონელები და რუსები გიჟურ გმირობას გამოიჩენენ. იაპონელები გალომებულები დაეცემიან ციხეს, რუსებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ და ყოველ ფეხის გადადგმას მედგრად დაიცავენ. ყველანი დავინახავთ, რომ ამ ქვეყნიერობაზე გულადი ხალხი არ გამოლეულა. მაგრამ მაინც ესეთი ბრძოლა და ესეთი სამხედრო ხერხი სულაც არაა ჭკუაში მოსასვლელი. კარგი სარდალი თავდაპირველად იმას უნდა ეცადოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ჯარი დააკლდეს და უფრო ხერხით გაიმარჯვოს და არა ძალით. მაგრამ იაპონელები პორტ-არტურთან ისე დინჯად და ფრთხილად ველარ მოიქცევიან, როგორც ილუზე მოიქცნენ... 10 წლის წინად იაპონელებმა ეს ციხე შტურმით აიღეს და მერე-კი რუსეთმა ხელი აალებინათ და თითონ დაიჭირა. პორტ-არტურის დაკარგვამ გული დასწყვიტა იაპონიის ხალხს. მე კარგად ვიცნობ იაპონელს. ყოველთვის იღიმება, მაშინაც-კი, როცა უსიამოვნო რამეს ეუბნებიან, მაგრამ თუ ლაპარაკი პორტ-არტურზე ჩამოუგდეთ, იმის სახეზე ღიმილის ნასახს ველარ დაინახავთ. არა მგონია, იაპონელები ეხლა ომის დროს უფრო დინჯად, გულგრილად უცქეროდნენ პორტ-არტურს...

ცნობილი ფრანგი სამხედრო მწერალი ერნსტ ჟიუდი სწერს: პორტ-არტურში რუსის ესკადრა დგას. ამიტომ იაპონიის ჯარსა და ფლოტს თავდაპირველად ამ ციხის აღება დაავალეს. თუ ეს საქმე აასრულეს, მაშინ ბალტიის ესკადრას დიდ ოკეანეში ბინა აღარ ექნება. პორტ-არტურის აღებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება შორეულ აღმოსავლეთისათვის. მთელი ჩინეთი კიდით კიდემდე შეირყევა და ვინ იცის, მაშინ რა ამბები მოხდება... ყოველმა იაპონელმა ჯარის-კაცმა იცის ეს ამბავი და ამიტომ ცინჩოუს შტურმის დროსაც ასეთი საკვირველი თავგანწირულობა გამოიჩინა.... ერთის სიტყვით პორტ-არტურთან ისეთი გასაოცარი ბრძოლა მოხდება, რომ იქნება ამაზე უფრო სერიოზული ბრძოლა და დიდის სისხლის ღვრა მსოფლიო ისტორიაშიაც არ მომხდარიყოს. („რ. ლ.").

პორტ-არტური. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება: ჩიფუდან დეპეშა მოვიდა, გენ. სტესელს ნაბძანები აქვს, თუ ვინიცობაა იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, ყველა სიმაგრე და სამხედრო გემი ააფეთქეთ და მერე თქვენის ჯარით იაპონიის ჯარის წრე გაარღვიეთ და ჩრდილოეთისაკენ წამოდითო. („ნ.").

„დეილი მეილ"-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-ჩუანიდან: აქ ექვსი ჩინელი მოვიდა პორტ-არტურიდან. ეს ჩინელები ამბობენ, პორტ-არტურში ყველაფერი საშინლად გაძვირდაო. ჩრდილოეთის მხარეს ფორტებსა და სანგრებზე რუსებს 10 ათასი კაცი უყენიათ. ზღვის სანაპირო ფორტებზე-კი მეტად ცოტა ჯარი დგას. კერძო ხალხსაც-კი იარაღი დაურიგეს. რამწამს ზარბაზნის სროლა იწყება, დუქნები და კონტორები მაშინვე იკეტება. პორტ-არტურის ხალხი საზოგადოთ ჯანმრთელადაა, ჩინელების გარდა; ესენი სიმშილისაგან იხოცებიან. ქურდობისათვის დამნაშავეთ სიკვდილით სჯიან. რკინი გზა პორტ-არტურიდან ცინჩოუმდე დანგრეულია. ცინჩოუსა და ვაფანდიანს შუა-კი მხოლოდ აქაიქაა დანგრეული გზა. იაპონელებს პორტ-არტურს გარშემო აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ზღვიდან ზღვამდე, უჭირავთ პოზიციები და ზედ მძიმე ზარბაზნები უდგათ. იაპონელებმა თავიანთ პოზიციებზე გაგვატარესო. („რ. ს.").

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: ცინჩოუსთან 13 მაისს პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი იბრძოდა. ცინჩოუს აღების შემდეგ გენ. სტესელმა უკან დაახევინა თავის ჯარს და პორტ-არტურს ახლო პოზიციები დაიჭირაო. კორესპონდენტი ირწმუნება, რუსების პოზიციები არ ვარგაო. („რ. ლ.").

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი მედგარ ბრძოლისათვის ემზადება. სალდათებს იმედი აქვთ, რომ ან გენ. კუროპატკინი, ან ბალტიის ესკადრა მოგვეშველებიან და პორტ-არტურს დაიხსნიანო. („რ. ვ.").

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონელებმა პორტ-არტურთან ზღვაში ჩინელების ნავი დაიჭირეს და მენავეს პორტ-არტურიდან გამოტანებული რუსის ოფიცრების წერილები უპოვესო. ერთ წერილში ეწერა, რუსებს პორტ-არტურთან რამდენიმე ნაღმიანი გემი დაეღუპათ ნაღმებისაგანაო.

„დეილი მეილ"-ი სწერს: რუსები პორტ-არტურიდან ზღვაში გასულ გემებს უმავთულო ტელეგრაფით ელაპარაკებიან ხოლმე. იაპონელები მალე პორტ-არტურს ახლო საკუთარ უმავთულო ტელეგრაფის სადგურს გაჰმართავენ და იმის შემწეობით რუსის დეპეშებს სულ აურ-დაურევენო. („რ. ლ.").

იაპონიიდან დაბრუნებულ ფრანგ დიპლომატს უთქვამს ერთის ჟურნალისტისათვის: პორტ-არტურთან მეტის მეტად საშინელი ბრძოლა მოხდება. პორტ-არტური მშვენივრადაა გამაგრებული, რუსის ჯარი დიდ წინააღმდეგობას გაუწევს იაპონელებს, მაგრამ იაპონელები ბოლოს უეჭველად აიღებენ ციხეს, თუ, რასაკვირველია, გენ. კუროპატკინი არ მიეშველა პორტ-არტურს. („რ. ლ.").

ბალტიის ესკადრის გაგზავნა. ფრანგულ გაზ. „მატენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, ბალტიის ესკადრა გიბრალტარისა და სუეცის გზით არ წავა, სამხრეთ-ამერიკისაკენ გაემართება, გორნის კონცხთან გაივლის და მერე პირდაპირ პორტ-არტურისაკენ გასწევსო. ამ ესკადრას იქნება შავის ზღვის ფლოტის 4 ჯავშნიანი გემიც მიემატოს. ოსმალეთი დარდანელში გავლას არ დაუშლის ამ გემებს, რადგან იმედი აქვს, რომ ეს გემები ველარ დაბრუნდებიან. ბალტიის ზღვიდან შემდეგი დიდი გემები გაიგზავნება: ჯავშნიანი გემები: „ალექსანდრე III", „ბოროდინო", „ნავარან"-ი, „ორიოლ"-ი, „ოსლიაბია", „სისოი დიდი", „თავადი სუვოროვი", 1 რანგის კრეისერები: „ავრორა", „დიმიტრი დონსკოი", „ჟემჩუგ"-ი „იზუმრუდ"-ი, „ადმირალ ნახიმოვ"-ი, „ოლეგ"-ი და „სვეტლანა". ამას გარდა წვრილი გემებიც გაიგზავნება. კორესპონდენტი არას ამბობს იმაზე, თუ როდის გაიგზავნება ეს ესკადრა. („რ. ლ.").

ახალი ამბავი

◆ დღეისთვის დანიშნულია ტფილისის ქალაქის **საბჭოს ხმოსანთა კერძო კრება**. კრებამ უნდა მოილაპარაკოს ქალაქის მოურავის კანდიდატებსა და დროზე, როდის უნდა იქნას არჩეული მოურავი, ეხლა თუ შემოდგომაზე.

◆ გუშინ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობის სახელზე მოვიდა **სამძიმრის დეპეშები** პეტრე უმიკაშვილის გადაცვალების გამო: პროფესორების პეტრიაშვილისა და მელიქიშვილისაგან (ადესიდან), პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან და კავკავის ქართველთაგან.

◆ 26 მაისს მოხდა კრება ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებისა**. კრებამ განიხილა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კამათი გამოიწვია თავმჯდომარის წინადადებამ მდივნისთვის 1200 მან. დანიშვნის შესახებ. დღეს მდივანს 800 მანეთი აქვს. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მომატებისა. კრებამ დაამთავრა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ხარჯი ნავარაუდევია 16,215 მან.

◆ როგორც გვატყობინებენ, 26 მაისს სადგურ ხაშურსა და მახლობელ სოფლებში **სეტყვა მოსულა** და სულ ერთიანად გაუნადგურებია ყანები და ვენახები.

◆ **გორში მტკვარზე** ხიდის შესაკეთებლად გადაიდო 114,500 მანეთი.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა აცნობა გუბერნატორს, რომ იმ ძეგლის აგება, რომელიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ 1885 წელს გადასწყვიტეს **თ-დ. ჯამბაკურიან ორბელიანის** საფლავზე, და ხელის მოწერისგანაც 2178 მ. და 98 კ. შეიკრიბა, სხვა დროისთვის გადაიდვაო.

◆ **მოსკოვის უნივერსიტეტში** წელს სა ქართველს დაუმთავრებია სწავლა, სამთავ იურიდიულ ფაკულტეტზე: წერეთელს, კი ნაძეს და პაატაშვილს.

◆ გუშინ, 27 მაისს, ტფილისის სარეალ საზოგადოების სადგომში უეცრად გა[illegible]ცვალა ინჟინერი მინაევი, რომელსაც სახლი გაჰ[illegible]ოდა.

◆ ტფილისის პირველ ღამის თავშესაფარის გამგე ცნობებიდანა სჩანს, აპრილში თავშესაფარში ღამ გაუთევია 3190 მამაკაცს და 86 დედაკაცს, სულ 3276 სულს. აქედან რუსი ყოფილა 1365, სომეხი 1350, ქართველი—456, თათარი—54, გერმანელი 16, პოლონელი—45.

◆ გუშინ ფიცი მიიღო ახალმა ხმოსანმა ბ-ნმა ხრამელაშვილმა, რომელიც დღეიდანვე შეუდგება თავის თანამდებობის აღსრულებას. ხრამელაშვილი მოწვეულ იქმნა წინამოადგილე ხმოსნის გარდაცვალებისა გამო.

—

◆ დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ეგზავნებათ მანჯურიისა, კორეასა და იაპონიის საერთო რუკა. შაბათს-კი ხელის მომწერთ დაურიგდებათ მარტო მანჯურიისა და კორეას რუკა (მასშტაბი: 40 ვერსი დიუიმში). ცალკე № „ცნ. ფ."-სა დღეს ღირს 5 კაპ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 27 მაისს, ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკის რწმუნებულთა კრება დაიწყო. კრების თამჯდომარეთ არჩეულ იქნა თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს წერეთელი და მდივნად დ. მდივანი. ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადაიდო.

რუსეთის ქრონიკა

◆ მამა იოანნე კრონშტადტელს მიუმართავს კრონშტადტის სამხედრო გუბერნატორისათვის: „მომეხმარეთ, თავიდან მომაშორეთ ვიღაც მისიუროვის ქალი, რომელსაც ბევრჯელ უსიამოვნება მოუყენებია ჩემთვის არა მარტო სიტყვით, არამედ მოქმედებითაცაო". რა წამს გამოჩნდება ხალხში მამა იოანნე, ეს ქალი მაშინათვე მივარდება თურმე ყვირის და ცდილობს რამენაირად უკბინოს, რომ მისი სისხლი მოიცხოს. ამ რამდენიმე წლის წინად მისიუროვის ქალმა თითში უკბინა მამა იოანნეს და ისე ატკინა თითი, რომ მამა იოანნე რამდენსამე დღეს გარედ ვერ გამოდიოდა. მისიუროვის ქალი რამდენჯერმე გაუგზავნიათ თავის სამშობლოში, არხანგელსკში, მაგრამ იგი ისევ დაბრუნებულა მამა იოანნეს შესაწუხებლად.

მისიუროვის ქალი მამა იოანნეს თხოვნით შემდეგ ისევ დაუჭერიათ და ჩვენება ჩამორთმევიათ. ქალს უთქვამს, მამა იოანნეს იმიტომ გადავემტერე, რომ მონასტერში არ მიმიღოო.

ჰფიქრობენ, რომ ეს უცნაური ქალი სულით ავადმყოფი უნდა იყოსო.

ფელეტონი

პეტრე უმიკაშვილი

სამძიმო და საძნელოა ახლად გარდაცვლილ მეგობარზე, რომლის გვამი ჯერ კიდევ თითქმის სულ მთლად არ გაცივებულა, ნეკროლოგის წერა და პირად დახასიათების შედგენა. სამძიმოა ეს მორალურად და საძნელო—ტეხნიკურად: კაცს, რომელთანაც მრავალ წლების განმავლობაში მჭიდრო მეგობრული განწყობილება და დამოკიდებულება გაკავშირებდა, ხედავ, რომ უცებ თვალები დაეხუჭა, მაჯის ცემა შეუწყდა, სიცოცხლის ნაპერწკალი გაუქრა და შენ, ცოცხალ და მგრძნობელ მეგობარს, სამუდამოდ და დაუბრუნებლად გამოგეთხოვა. ხედავ, რომ დადუმდა ის ენა, რომელიც ყოველთვის წრფელ მეგობრულ გულითადობას გადმოგცემდა და მუდამ გამხნევებდა; ხედავ,—უსიცოცხლო და გამოუმეტყველი გახდა ის სახე, რომელზედაც შენდამი ყოველთვის სიყვარული, თანაგრძნობა და პატივისცემა იხატებოდა. სამძიმოა, დამტანჯველია ასეთ სურათის ცქერა. იგი იპყრობს ერთიან ადამიანის სულიერ არსებას, აძლიერებს მგრძნობიერობას და ასუსტებს გონებასა და ლოღიკურ მსჯელობას. ასეთ მდგომარეობაში ადვილი და ბუნებრივია გრძნობაზე დაფუძნებული ტანჯვა და მწუხარება, მაგრამ ასევე ადვილი არაა მსჯელობის გაბმა, გარდაცვალებულის შრომა-მოღვაწეობის აღნუსხვა-დაფასება და მისი პირადი დახასიათება. ეს მოითხოვს მტკიცე და მიუკერძებელ ლოღიკას, რომელსაც იოტის ოდნადაც კი არ უნდა აუღლებდეს სუბიექტიური გრძნობა და მეგობრული დამოკიდებულება.

ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფები მე დღეს, როცა ვიღებ კალამს ხელში პეტრე უმიკაშვილის შესახებ ამ მცირე შენიშვნის დასაწერად. სწორედ ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც იგი გავიცანი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა დამოკიდებულებამ თანდათან მეგობრული ხასიათი მიიღო და ბოლოს განსვენებულს ისე შევუყვარდი, რომ მამასაც კი თავისი ღვიძლი შვილი მეტად არ ეყვარება. მის ჩემზე მზრუნველობას საზღვარი არ ჰქონდა, და ეს გამოიხატებოდა ყველგან და ყველაფერში,—უბრალო და უმნიშვნელო წვრილმანებშიაც. და ასეთი ჩემთვის მამის მსგავსი კაცი უკანასკნელ დღეებში ჩემ თვალ-წინ იტანჯებოდა და ებრძოდა სიკვდილს, ჩემ თვალ-წინ ლევდა სულს და ესალმებოდა წუთი-სოფელს. ეხლა იგი წევს უსულო ცხედრად, რომელიც დღეს დაიმარხება და სამუდამოდ მიწას შეუერთდება. მუნჯად დავსცქერი მის უსიცოცხლო გვამს და ვგრძნობ მხოლოდ, თუ რას ნიშნავს საყვარელ, გულითად მეგობრის დაკარგვა. [illegible], მკითხველი თავის თავად მიხვდება, რომ მე დღეს არ ვვარგივარ პეტრეს ბიოგრაფიის დამწერად და მისი საზოგადო მოღვაწეობის დამფასებლად. ამგვარ დაფასებას სულიერი სიმშვიდე ეჭირვება.

მაინც საზოგადო მოღვაწეობა ისეთი მხარეა ადამიანის მოქმედებისა, რომელსაც ფართო საზოგადოება ჰხედავს და შეუმჩნეველი ვერ დარჩება. პეტრე უმიკაშვილი მთელი 40 წლის განმავლობაში მუშაობდა მეძლების დაგვარად ქართულ მწერლობაში და იღებდა მონაწილეობას ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებში. ეს ისეთი მხარეა მისი ცხოვრება-მოქმედებისა, რომელზედაც ასე თუ ისე აზრი შედგენილი ექნება ყველას, ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს მწერლობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამის საცოდნელად საჭირო არაა განსვენებულთან ახლო ნაცნობობა ან მეგობრობა.

მაგრამ არის მეორე მხარეც, რომელიც შეეხება აწ გარდაცვალებულის ინდივიდუალობას და ახასიათებს მას პირადობას. როგორი იყო პეტრე უმიკაშვილი, როგორც კაცი, როგორც ადამიანი? ამაზე გარკვეულ აზრის გადმოცემა მხოლოდ ახლო ნაცნობსა და მეგობარს შეუძლია. 10 წელიწადი საკმაო დროა, რომ კაცმა კაცი გაიცნოს და მისი ინდივიდუალობა შეისწავლოს. და მეც დღეს განსვენებულის რამდენიმე თვისება მინდა მოვიხსენიო, რომელიც მის პიროვნებას შეეხება და მის ადამიანობას ახასიათებს.

განსვენებულის ერთი მთავარი თვისება ი სიმართლე და პატიოსნება. ეხლანდელ დრო ში, როცა ადამიანებში სიყალბე და ორპირობ ძალიან ფეხგადგმულია, ხსენებული თვისება მართლა რომ დიდად მისაჩნევი და დასაფასებელი. განსვენებული სწორედ საარაკო სიმართლის მო ხრე და აღმსრულებელი იყო. თავის დღეში იგ სხვის მოტყუებას არ მოინდომებდა და ვინმ განზრახ ცრუობას არ ეტყოდა. ადვილად არავ არ შეჰპირდებოდა რამეს, მაგრამ შეპირების შე დეგ კი აღთქმულს უეჭველად შეასრულებდა. ისეთი კაცი იყო, რომელთანაც თამასუქები პირობები არ გჭიროდათ. შეგეძლოთ მისთვი მილიონი მიგებარებიათ უკვიტანციოდ და უმო მებოდ და ამავე დროს სრულიად გულდამშვიდე ბული ყოფილიყავით,—იგი მიბარებულ ფულიდ არა თუ დახარჯავდა რამეს, არამედ იქიდან ერ კაპეიკსაც-კი თავის საკუთარ ფულში არ გაურევდ მიუხედავად ასეთი თვისებისა, თავის დღეში დასთანხმდებოდა, რომ ვინმესი ფული მიე ბარებ მიღების ბარათი არ მიეცა. ხშირად იტყოდ მინდა იმ კაცს გულში ეჭვმა გაუაროს ან, უცებ რო მოვკვდე, მის ქონებას რაიმე ხიფათი მიადგეს მაგალითად,—და ეს ერთი მაგალითია ათასში —ამას წინედ ერთმა შავი ქვის მრეწველმა ათასი მანეთი დაუტოვა სხვისთვის გადასაცემა ლაპარაკში გარეულ პეტრეს დაავიწყდა მიღებ

◆ ამას წინად წითელ ჯვრის ერთ მოსამსახურეს (არტელშჩიკს) ქურდობა დასწამეს და სამართალში მისცეს. რუსეთის გაზეთების სიტყვით, იგი იპარავდა თურმე საცვლებს, შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად დამზადებულს, და თავის სოფელში ჰგზავნიდა. სოფელში ამ მოსამსახურის სახლი გაუჩხრეკიათ და უნახავთ ყველა მოპარული საცვლები, წონით 6 ფუთამდე,—პერანგები, მოწყალების დათა წინსაფრები და კიდევ ბევრი რამ სხვა. („ნ.“).

◆ ენკენისთვიდან გამოვა პეტერბურგში ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ ნამყოფ ვ. კოვალევსკის რედაქტორობით დიდი გაზეთი „მე-XX საუკუნე“, რომლის უმთავრესი საგანი ეკონომიური საკითხები იქნება.

◆ მიმდინარე წლის დეკემბერში გაიხსნება პეტერბურგში „პეტროპავლოვსკ“-ზე დაღუპულ ცნობილ მხატვრის ვერეშჩაგინის სურათების გამოფენა. სულ 600 სურათამდე იქნება გამოფენილი.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ლიაოიანში, სადაც რუსების უმთავრესი ჯარია თავმოყრილი, დიდი სიძვირე ყოფილა სურსათისა. მაგალითად 1 გირვანქა შაქარი—45 კ. ღირს, 1½ გირვანქა პური 15 კაპ., 1 ფუთი კარტოფილი—4 მან. 1 გირ. სიმინდის ფქვილი—12 კაპ., 1 გირ. სარეცხი საპონი—30 კაპ. და სხვ.

ქუთაისის სათავ.-აზნ. ბანკის წევრთა კრების გამო

გუშინ, 27 მაისს, ქუთაისში დაიწყო აქაურ სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. ჩვენ გვსურს ამ კრების ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებას: 60% ბანკის წმინდა შემოსავლისა, ესე იგი ნახევარზე მეტი, ჩვენ შეგვიძლია, წესდების ძალით, მოვახმაროთ საზოგადო საჭიროებებს; კრებაზეა დამოკიდებული, თუ რა გვარ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, მაგრამ, რაკი საჭიროება მეტად ბევრი გვაქვს და ყველას ბანკის მოგება ვერ გასწვდება, ამიტომ ჯერ აუცილებელი, უკიდურესი საჭიროება უნდა ვიქონიოთ სახეში; ამას წესდების მე-101 მუხლიც თხოულობს. ამისთანა საჭიროებას შეადგენს უწინარეს ყოვლისა არსებული სკოლების (ქუთაისის და სენაკის) შენახვა და გაუმჯობესება; ეს სკოლები იმდენად უზრუნველი მაინც უნდა იყოს, რომ მიმდინარე წლის შემოსავლით ინახებოდნენ, და არა მომავალი მოგების იმედით და ვალით, როგორც ახლა არის, თორემ ვინ იცის, შემდეგში რა მოგება იქნება ან ვის ჩააყენებენ ბანკის სათავეში. ამიტომ მეტად საჭიროა—სხვა საგნებისათვის ფულის ხარჯვას თავი დავანებოთ.

ეს შენიშვნა გამოწვეულია შემდეგის გარემოებით: წლეულს ბანკის წმინდა შემოსავალი უდრის 72,000 მანეთს, აქედან საზოგადო საჭიროებისათვის გადაიდება 43.000 მან., დღემდის სკოლებზე და სხვა საგნებზე ვალად (ავანსად) არის დახარჯული 40.000 მანეთამდე, აქედან საანგარიშო წლის მოგებიდან აუცილებლად უნდა დავფაროთ 23.000 მან. მაინც; ამ გვარად წლევანდელი შემოსავლიდან დაგვრჩა მხოლოდ 20·000 მან. მაშინ, როდესაც მარტო სკოლებს საჭირია 36.000 მან.; აშკარაა, სკოლებისათვის კიდევ იძულებული ვიქმნებით დავხარჯოთ ავანსად 16.000 მან.—მიუხედავად იმისა, რომ სკოლების მდგომარეობა უზრუნველ-ყოფილი არ არის, ჩვენი ბანკის ზედამხედველი კომიტეტი მაინც დიდს ხელ-გაშლილობას იჩენს: 1) გუბერნიის მარშლის მოადგილეს, თავ. ნიჟარაძეს, 6 თვის განმავლობაში წარმომადგენლობისათვის კომიტეტმა. 1500 მ. მაგივრად, მიართვა 4.200 მ. (ავანსად), 2) ს. ჭაგანში რამდენიმე აზნაურმა მიწის მუშაობა იკადრა, კომიტეტი სიხარულით აღარ არის—უსათუოდ ავანსით დავეხმაროთო, 3) ერთმა თავადმა თავის ნებით მანჯურიაში წასვლა მოინდომა, დეპუტატთა საკრებულოში ქაღალდი შეადგინეს და ბანკს მიმართეს—თავადს ფული უნდაო, კომიტეტიც იმ აზრისაა—მიერთვას (ავანსი). ბევრი სხვა ხარჯებიც, ავანსით გაწეული, აქ არ მოგვყავს, თამამად-კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომიტეტი ჩვენებურად, ქართველურად, ფლანგავს საზოგადო ფულს ფუჭად მაშინ, როდესაც თვითეული კაპეიკი ვალდებული ვართ დავზოგოთ უფრო აუცილებელ საჭიროებისათვის. კომიტეტი იმაშიაც დამნაშავეა, რომ ხშირად სხვის უფლებას ითვისებს, რაიცა საპატიებელი არ არის განსაკუთრებით საზოგადო ფულის დახარჯვაში: რწმუნებულთა კრება ამტკიცებს ხოლმე ხარჯთ-აღრიცხვას, და არც კომიტეტს, არც გამგეობას უფლება არა აქვთ იმაზე მეტი დახარჯონ, რაც რწმუნებულთაგან ნება დართული არ არის. კრებამ უნდა დაიცვას თავისი უფლება.

გულშემატკივარი.

თეატრი

წარმოდგენა ვ. აბაშიძის სასარგებლოდ. შაბათს, 29 მაისს, ქართულ თეატრის არტისტები წარმოდგენას უმართავენ თავის უფროს ამხანაგს და ნიჭიერ არტისტს ვ. აბაშიძეს, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ მოერია დიდი ხნის სენი—ნეკრესის ქარები, რის გამო არტისტმა ორი თვე მაინც უნდა დაჰყოს სამკურნალო წყლებზე.

იმედია, ქართველ მსახიობთა კეთილ სურვილს ჩვენი საზოგადოება მხურვალეთ მიეგებება და მით შეძლებას მისცემს ჩვენის სცენის დამამშვენებელს თავი განიკურნოს არა საშიშო, მაგრამ მეტად შემაწუხებელ სენისაგან.

—

ახალი თეატრის გახსნა დ. ყვირილაში. დ. ყვირილამ გაუსწრო ჩვენს პროვინციალურ ქალაქებსაც. იქაურ ახალ-გაზრდობას აუშენებია თეატრი, რომლის კურთხევა და გახსნა დანიშნულია კვირას, 30 მაისს. გახსნაზე მიწვეულნი არიან ყველა ჩვენი მსახიობნი, რომელნიც წარმოადგენენ დ. ერისთავის დრამას „სამშობლოს“, ბოლოს გაიმართება აპოთეოზი, რომლის დროს წაკითხულ იქნება მისალოცი დეპეშები, წერილები, ადრესები და სხვა.

სასამართლო

მკვლელობა

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ ქალაქ ახალქალაქში 22 მაისს გაარჩია საქმე სოფელ ალასტანის მცხოვრების, პოლიციის დარაჯად ნამყოფის მინას ირიციონცისა, რომელსაც თავის ბიძაშვილის, ახლად გათხოვილ ქალის, პირიჩიდა მინასიანცის დახრჩობა და გაქურდვა ჰბრალდებოდა. 1903 წელს, 19 დეკემბერს, მინასიანცის სახლში, საქალაქო სასწავლებლიდან დაბრუნებულ მოსწავლეს არშაკ სამოვარიანცს უნახავს სამზარეულოში, იატაკზე, დამხრჩვალი სახლის პატრონის, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელის ოჰანეზ მინასიანცის მეუღლე. თავზე წაფარებული ჰქონია მაუდის ფართუკი, რომელიც კისერზე მაგრად შემოჭერილა ყოფილა თოკით. პირში მოკლულისთვის მკვლელს ჩვარი ჩაეტენა. როცა სახლი დაუთვალიერებიათ, აღმოჩნდა, რომ სახლიდან წაუღიათ ერთი ყუთი ოქროს ბეჭდითა და ჯვრით და აგრეთვე მოკლულ ქალის თავის მოსართავი. გამოძიების დროს ბოქაულსა და გამომძიებელს შეუნიშნავთ დარაჯის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელიც ხმა მაღლა მოთქმით სტიროდა და ჰგლოვობდა მოკლულ ქალს. ამავე დროს ეს უცნობი ყველას ერიდებოდა. უცნობზე ეჭვი აუღიათ და დაუწყიათ თვალ-ყურის დევნება. შეუმჩნევიათ, რომ უცნობს რაღაც იარაღით გაკაწრული ჰქონდა სახე. უცნობი აღმოჩნდა მოკლულის ნათესავი მინას ირიციანცი, რომელიც რამდენისამე ხნის წინად პოლიციის სამსახურიდან დაეთხოვნათ. მოკლულ ქალის გვამთან ჰნახეს პაპიროზის ნამწვი. ბოქაულს დაუვალებია ერთ მოხელისათვის, ირიციანცისთვის გამოერთვა ერთი პაპიროზი, რომ ნამწვი იმ პაპიროზისათვის შეედარებინა. ირიციანცს უარი განუცხადებია და ცოტას ხანს შემდეგ წასულა სახლში. ღამე პოლიციას იმისი სახლი გაუჩხრეკია და უნახავთ ოქროს ბეჭედი და ჯვარი ყუთით, ხოლო თავის ოქროს მორთულობა ბრალდებულს ჩექმის ყელში ჩაუდვია. მინას ირიციანცი პასუხის გებაში მიუციათ. სასამართლომ მინას ირიციანცი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 10 წლით კატორგაში გაგზავნა.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მაისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ოფიციალურად. რადგან იაპონელებს უსაყვედურეს, რომ პულანდიანის ახლოს სროლა დაუწყეს მატარებელს, რომელსაც წითელ ჯვრის ბაირაღი ჰქონდა გაკეთებული, იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ ეს მატარებელი ჩვეულებრივი იყო და შიგ სალდათები ისხდნენო. რუსები უწესოდ მოიქცნენ, რომ ამ მატარებელს წითელი ჯვრის ბაირაღი გაუკეთესო.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). 26 მაისს 50 ნავი ჩინელ ვაჭრებითა და მუშებით წამოვიდა პორტ-არტურიდან და მოაღწია აქ; მოსულებმა სხვა და სხვა ცნობები გადმოგვცეს და ამბობენ, რომ უკვე 4 დღეა, რაც ბრძოლაა პორტ-არტურიდან 10 მილის მანძილზე. მთელი რუსის ჯარი გამოვიდა ციხიდან და მოწინავე პოზიციებზეა გაგზავნილი. ნავთსადგურში მხოლოდ სამი დიდი და რამდენიმე პატარა გემია. ჩინელებმა არ იციან, რა იქნენ სხვა დიდი გემები. სიმაგრეები ცოტათ თუ ბევრად დაზიანებულია ყუმბარებისაგან, რომელთაც განუწყვეტლივ უშენენ იაპონელები.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). ჩინელები ამბობენ, რომ პორტ-არტურის გარეშე სიმაგრეები დაზიანებულია, შიგნით სიმაგრეები კი ცოტადაა დაზიანებული. ქალაქში დანგრეულია რამდენიმე სახლი. ნავთ-სადგურში მხოლოდ სამი დიდი გემია, რაიც უეჭველია ნიშნავს, რომ დანარჩენი გემები გარეშე ნავთ-სადგურში დგანან ტიგროვის ხვოსტისა და ბასსეინის უკან.

26 მაისი

ბერდიანსკი. გაიხსნა კუმისით სამკურნალო საავადმყოფო.

ორიოლი. გაიხსნა გუბერნატორის თავმჯდომარეობით საბჭო საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯად.

ბუდაპეშტი. დასრულდა დელეგაციის სესსია. ამ დროს გაისმა აღტაცებული ყვირილი: „დღეგრძელობა ხელმწიფეს, დღეგრძელობა მეფეს!“

ადესსა. თავი მოიკლა ქალაქის საყასბოების ხაზინადარმა კრუპენინმა მას შემდეგ, რაც კასსაში 3 ათასი მანეთი დეფიციტი აღმოაჩინეს.

სოფია. („კორრ. ბიურო“.). ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების გამო, ბოლგარიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის შესადგენად.

ხარკოვი. გაიხსნა თეატრის ბაღში ქალაქის თვით-მართველობისაგან აშენებული პუშკინის ძეგლი. ძეგლის კურთხევა დიდის ამბით იდღესასწაულეს.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობის საგანგებო კრებაზე თავმჯდომარედ შაპოვის ადგილას აირჩიეს საბჭოს წევრი გოლოვინი.—დაიხურა კრება გამასწორებელ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. შემდეგი კრება მოხდება 4 წლის შემდეგ მოსკოვში. დანიშნულია პრემია 500 მან. საუკეთესო საფსიხიატრო გამოკვლევისათვის, აგრეთვე ისეთ თხზულებისთვის, რომელიც შეეხება გამასწორებელ სატუსაღოებში დამწყვდეულთა აღზრდას.

27 მაისი

მინსკი. საგლეხო კანონმდებლობის რეფორმის შესახებ შედგენილმა საბჭომ დაასრულა საკითხების განხილვა. საჭიროდ სცნო ვოლოსტების დატოვება, რომელთაც უნდა მიენიჭოთ სისხლის სამართლის საქმეებში იმდენივე უფლება, რამდენიც საერობო უფროსებსა აქვთ. უნდა მიეცეთ გლეხებს უფლება მსაჯულებად ყველა წოდების პირთა არჩევისა და ვოლოსტის მწერალთ უნდა მიენიჭოთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი.

სტამბოლი. რეფორმების უმთავრესს ინსპექტორს ხილმი-ფაშას ებოძა პირველ ხარისხის მეჯიდიეს ბრილიანტებიანი ორდენი.—პორტამ ოფიციალურად შეატყობინა შეთანხმებულ სახელმწიფოების ელჩებს, რომ ფინანსთა სამინისტროსა და ოტომანის ბანკს შორის ხელ-მოწერილია შეთანხმება, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს ყოველ-წლიურ ბიუჯეტს მაკედონიის ჟანდარმერიის რეფორმების სისრულეში მოსაყვანად.—ბასორიის სავადმყოფოში ხოლერა გაჩნდა.—რიცხვი სომეხთა მსხვერპლისა ამ ცოტა ხანში მომხდარ მღელვარების დროს სუსსანში არ გამორკვეულა. ჰფიქრობენ, რომ დაიღუპა რამდენიმე ასი კაცი. ხმა არის, რომ დიარბეკირის ვილაიეტში ქურთთა შორის სომხების წინააღმდეგ მოძრაობა იწყებაო.

ბლაგოვეშჩენსკი. 26 მაისს საღამოს 7 საათზე გამოცხადებულია სასამართლოს განაჩენი,

---

ბარათის მიცემა, ხოლო მომტანმა, იცოდა რა მისი სიმართლე და პირიანობა, არავითარი კვიტანცია არ მოსთხოვა. მხოლოდ ამის წასვლის შემდეგ მოაგონდა მას, რომ ბარათი მიცემული არ ჰქონდა. მაშინვე დასწერა და ჩასაბარებლად თავისი კაცი რკინის გზის სადგურზე აფრინა. ერთის სიტყვით სიმართლე და პირიანობა ისე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, რომ არ მგონია სიყალბე მას არა თუ მოქმედოს, არამედ გულშიაც-კი ოდესმე გაეტარებინოს. ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ცრუობა და ტყუილის მოლაპარაკე ადამიანი. როგორც-კი ვინმეს ერთ თუნდა სულ პატარა ტყუილს შეამჩნევდა, მერე მისი აღარაფერი სწამდა და სჯეროდა. სიმართლე და სიტყვის გაუტეხლობა მისი მთავარი მცნება იყო ცხოვრებაში.

პეტრე უმიკაშვილის მეორე თვისებას შეადგენდა საზოგადოებრივი ინსტინქტი და მისწრაფება. ხშირად მის ხანში შესული ადამიანი მოეშვება, მოდუნდება და საზოგადო საკითხები ნაკლებ ან სრულიად არ აინტერესებს. განსვენებული ამის კონტრასტს წარმოადგენდა. საცა უნდა ყოფილიყო, რომელ ნაცნობსაც უნდა შეხვედროდა, უეჭველად ჩვენს საზოგადო საქმეებზე დაუწყებდა ლაპარაკს და ამ ლაპარაკში მთელი საათობითაც არ მოიწყენდა. თეატრი, გაზეთი, ჟურნალი, წერა-კითხვის საზოგადოება, წიგნების გამოცემა და სხვა ამგვარები—აი, ეს იყო მისი საყვარელი საგნები მასლაათისა. უნდა გენახათ, როგორ მთელის გულითა და სულით მხიარულობდა და სტკბებოდა, როცა რომელსამე ქართულ გაზეთსა ან ჟურნალში რაიმე ფხიან წერილს წაიკითხავდა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგებდა, რომ ჩვენს პრესსას მკითხველი და ხელის მომწერი ემატება. ეს სიხარული და აღტაცება იყო ნამდვილი გულის სიღრმიდან ამოსული, მასში არ ერია სიყალბე და ან თვალთმაქცობა. და ეს ჰხიბლავდა გარეშე ადამიანს და აყვარებდა ამ სულით ცოცხალ მოხუცებულ კაცს. ამ მოხუცებულობის დროსაც იგი, როცა-კი თავისუფალი წუთი ჰქონდა, ცდილობდა რამე დაეწერა ან გადმოეთარგმნა და ამნაირად ჩვენს მწერლობაში თავისი წვლილი შეეტანა. საქმეში ისეთი დაუზარებელი იყო, რომ ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა. მაგალითად, ახალგაზრდების ერთმა წრემ სერგეი მესხის სახსოვრად საღამოს გამართვა განიზრახა: პეტრეს სთხოვეს მესხის ცხოვრებიდან რაიმე სცენის დაწერა. ისიც ხელად საქმეს შეუდგა, დიდი ნაწილი დასწერა კიდეც, მაგრამ მთლად დასრულება სიკვდილის გამო აღარ დასცალდა. სწორედ ამ უკანასკნელ დღეებში, როცა ავად იყო, მოუვიდა საზღვარ-გარეთიდან პიესები იტალიურ ენაზე,—უნდოდა ცნობილ დრამატურგების პიესები გადმოეთარგმნა და ჩვენს სცენაზე დაედგმევინებია. ერთი პიესა გოლდონისა უკვე გადმოთარგმნა ამ სამიოდე თვის წინად.

განსვენებულის მესამე თვისებად უნდა ჩაითვალოს ოპტიმისტობა და სულით ახალგაზრდობა. ყველა ნაცნობს აკვირვებდა ამ მოხუცის მუდმივი იმედი და სასოება. იმისგან ვერ გაიგონებდით უიმედობას და სასოწარკვეთილებას. ყოველ პატარა ნაბიჯს, ჩვენს საზოგადოებრივ თვითცნობიერების საქმეში წინ-გადადგმულს, იგი დიდ-მოვლენად სთვლიდა და „პესიმისტ“-ს ამით შავ-ფიქრებს უქარწყლებდა. როგორც-კი დაღვრემილ ნაცნობს შეჰხვდებოდა, მაშინვე ამ სიტყვებით მიჰმართავდა: „რაა, რომ ცხვირი ჩამოგიშვია,—ნუ მოეშვები და ნუ დაძაბუნდებიო“-ო. უყურებდი და გავიწყდებოდა, რომ ასეთი ნუგეშისა და გამამხნევებელ მოძახილის მომცემი იყო თვითონ მოხუცებული კაცი 65 წლისა.

დასასრულ, ვითარცა მეოთხე თვისება, მოსახსენებელია განსვენებულის ტკბილი და უწყინარი ბუნება. ეს თვისება ჰხდიდა მას ყველა ნაცნობისათვის საყვარელ და სასიამოვნო პირად. მას არ შეეძლო ვინმესათვის ცუდი სიტყვა ეთქვა და ეწყენინებინა, არ შეეძლო არავისი მტრობა და შურის-ძიება,—მისი ბუნებით კეთილი გული ამას ეწინააღმდეგებოდა და ვერ იშვნევდა.

და ეს „ტკბილი პეტრე“ უნდა მივაბართ დღეს მიწას. სამწუხარო და გულ-დასაწყვეტია მისი სიკვდილი ყველა მის ნაცნობთათვის და დასანანი—ვითარცა სიკვდილი საზოგადო მუშაკისა—მთელის საზოგადოებისათვის. განსვენებულს ყურის ტკივილი რომ არ მოჰკვროდა, კიდევ შეეძლო სიცოცხლე და მუშაობა. 6 კვირის წინად დაემართა ინფლუენცია, რომლის გავლის შემდეგ ყურის ტკივილი დასჩემდა. ყურის სენმა გამოიწვია ტვინის ანთება და ამ ანთებამ ორ-დღეში მოუღო ბოლო მის ჯერ კიდევ მაგარ აგებულებას. ანთების დაწყებისთანავე დაეკარგა გრძნობა და უკანასკნელ ორ-დღეს ვეღარავის სცნობდა. როცა ცოტა სიცხე დაეტყო, თითქოს სიკვდილი იგრძნოვო, შემდეგის სიტყვებით მომმართა: „ჩემო ფილიპე, სახალხო ლექსები მრჩება გამოუცემელი,—ვეღარ მოვასწარი დამთავრება, და შენ იცი, როგორც უპატრონებ მათ“.

ვეცდები, პატიოსანო ადამიანო, დირსეულად შევასრულო ეს შენი უკანასკნელი თხოვნა. ეს სამსახური იმისი მეათასედიც არ იქნება, რაც შენ ჩემგან გეკუთვნის და შეგეფერება. შენმა სწრაფმა სიკვდილმა წამართვა ამის შემთხვევა და მომისპო შენი მეგობრობის სამაგიეროს ზღვის საშუალება.

მშვიდობით, პატიოსანო მეგობარო! შენ იყავ ჩემთვის მეგობარი კეთილი. იცოდე, შენს ხსოვნასა და მეგობრობას არ დავივიწყებ, სანამ ცოცხლობს,—

ფ. გოგიჩაიშვილი

რომლითაც დამნაშავედ არიან ცნობილნი ძმები კოსიცინები და მედვედიევი და მიესაჯათ ყველა უფლებათა ახდა და 9 წლით კატორგაში გაგზავნა. დამნაშავეთ საკასაციო საჩივარი შეიტანეს.

ლონდონი. 26 მაისს მოვიდა ერც-ჰერცოგი ფრიდრიხი, რომელიც გადასცემს მეფეს ავსტრიის იმპერატორისაგან გამოგზავნილ საფელდმარშალო კვერთხს.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ აზრით არსებულ კანონთა შესაცვლელად დადგენილია: 1) ყველას ნება აქვს იმუშაოს კვირა-უქმე დღეებში და საეკკლესიო და საერო დღესასწაულებში. არც ერთის უწყების მოხელეთ არ აქვთ უფლება დაუშალონ მსურველთ მოხსენებულ დღეებში მუშაობა. 2) საზოგადო საგუბერნიო დაწესებულების მე—300 მუხლიდან და ბოროტ-მოქმედებათა დაბრკოლებისა და აღკვეთის შესახებ წესდების მე—24 მუხლიდან უნდა გამორიცხულ იქნას სასჯელი, რომელიც დანიშნულია კვირა-უქმე დღეებში მომუშავეთათვის.

არიოლი. გაიარა სამხრეთისკენ მიმავალმა დიდმა მთავარმა დიმიტრი კონსტანტინეს ძემ.

კალუგა. მოხდა პირველი სხდომა საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯად შემდგარ საგუბერნიო საბჭოსი.

სოფია (ოპოზიც. წრეებ.). ირწმუნებიან, რომ ბოლგარიისა და რუმინიის მთავრობანი საბოლოოდ შეთანხმდნენ იმ მოხსენების თაობაზე, რომელიც შეეხებოდა შეერთებულ კომისიას, დუნაის საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულსა. გადაწყვეტილია, რომ ამ ორ სახელმწიფოს საზღვარა მდინარეს ცვალებადი კალაპოტი უნდა იქნეს. —გადახვეწილნი ისევ ბრუნდებიან მაკედონიაში და ადრიანოპოლის ვილაეტში. სტამბოლში მეოფმა ინგლისის საელჩომ გაჰგზავნა სამხედრო აგენტი, რომელმაც უნდა ნამდვილად გაიგოს, დაბინავეს თუ არა თავ-თავიანთ ალაგას ადრიანოპოლის ვილაეტში დაბრუნებულნი.

სალონიკ-კუმენჯის რკინის გზაზე დინამიტით აფეთქება მოხდა; მოკლულია ერთი კაცი; რელსები არ დაზიანებულა; მატარებლების მიმოსვლა არ შეჩერებულა. სოფიის კომიტეტები უარჰყოფენ თავის მონაწილეობას ამ საქმეში.

პეტერბურგის ბირჟა, 26 მაისი

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,55
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	$37{,}57^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$6\text{-}7^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$91^{1}/_{8}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$87^{3}/_{8}$ გაყ.
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	374 „
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	293
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$258^{1}/_{2}$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^{1}/_{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$88^{1}/_{2}$
$4^{1}/_{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	188 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ცნობილი დრეზდენელი თერძი

კ. პ. კრუიველინსკი

ტფილისი, პუშკინსკი პასსაჟი, № 18/20

ახალ ტანისამოსების—სამხედრო, სამოქალაქო და ქალების კაბების—შეკერვის გარდა იღებს ყოველგვარ **ძველ ტანისამოსის გაახლების** საქმესაც, უკანასკნელის სისტემით, როგორც მიღებულია პარიზის ლაბორატორიაში. იქვე იყიდება ქალის კაბების ვიკროიკები. (5—35—5)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სთეატრის ახლოს. (წ.—176—27)

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები“-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების.
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა“
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი“
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. (1(--142—9)

ქუთაისში

სამ. ა. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ეშიბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა კასაეიდად ახლად დაბეჭდილი

სრული გეოგრაფია საქართველოსი

ბატონიშვილის ვახუშტისა,

ავტორის სურათით, საქართველოს რუკით (ქარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“.

ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას სხვაფრივაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმითაც, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.

ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.

გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—211—1)

„გამომც. ქართველთა ამხანაგობის“

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	ქ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. [illegible]	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
კაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	6
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	2
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთხი	1	—
რძე, მისივე	1	50

ესვე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. კანვერტზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ „ГУТТЕНБЕРГЪ“

Продаются:

Желѣзновъ. Очерки политическо экономіи въ переплетѣ	3 „	— ,
Стетсонъ. Экономическое рабство женщины.	1 „	75 ,
Максъ-Нордау. Парадоксы.	1 „	— ,
Мирбо. Только нажива.	— „	75 ,
Панонъ. Борьба за Великій океанъ.	— „	35 ,
Японія, Корея и Манджурія.	— „	30 ,
Яшвили. Народная медицина въ Закавказскомъ краѣ.	— „	70 ,
Кн. Сумбатовъ. Измѣна, трагедія въ 5 д.	2 „	— ,
Марксъ. Капитализмъ въ 2 том.	3 „	50 ,
Вѣра. Одна за многихъ. Изъ дневника молодой дѣвущки.	— „	50 ,
Ганзенъ. Сторонница вѣры. Изъ дневника молодой женщины.	— „	50 ,
Е. Одинъ за многихъ.	— „	20 ,

Адресъ: Тифлисъ, книжный магазинъ „Гуттенбергъ“, Дворцовая и Штабная ул., подъ „Дворцовыми номерами“.

Вышелъ Каталогъ магазина, желающимъ высилается безплатно. (2—1)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—22)

პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346

ერევნის მოედანი. (60—6.—39)

Доз. цензурою. 27 Мая 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა.

Электропеч. Груз. Изд. То-тва.